



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



ERASMUS + PROJECT : AG-LAB

პროექტი "აღმოსავლეთ ევროპაში აგრო-კვების სპეციალისტებისთვის ლაბორატორიული პრაქტიკის გაუმჯობესება/Ag-Lab"

Erasmus + პროგრამა, პროექტი KA2 n° 586383-EPP-1-2017-1-SI-EPPKA2-CBHE-JP (2017-2978/001-001)

სამუშაო შეხვედრის ოქმი - დიპლომის შემდგომი კურსები ლაბორატორიის პერსონალისათვის

30 სექტემბერი - 1 ოქტომბერი, 2018

ადგილი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მონაწილეები: პროექტის გუნდის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ თსუ-ს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიასა და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს.

მიზანი: ქართველ პარტნიორებს შორის ინფორმაციის/ცოდნის გაზიარება და ლაბორატორიასთან თანამშრომლობით საქართველოს უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული ლაბორატორიის პერსონალისათვის შექმნილი დიპლომის შემდგომი კურსების შინაარსისა და სტრუქტურის განსაზღვრა/დასრულება.



დისკუსიის შეჯამება

1. **საჭიროებების შეფასება:** აგ-ლაბ-ის პროექტის ქართველი პარტნიორების მიერ შედგენილი კითხვარი შეავსო საქართველოში მოქმედი 40 დიაგნოსტიკური ლაბორატორიის პერსონალმა/წარმომადგენელმა. საჭიროებების შეფასების კვლევის შედეგები განხილულ იქნა და დადგინდა პრიორიტეტები, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: სხვადასხვა კომპონენტის/დამაბინძურებლის ტესტირება/გაზომვა საკვებ პროდუქტში სხვადასხვა ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით, მათ შორის ქრომატოგრაფია და რეალურ დროში PCR (პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქცია), სურსათის უვნებლობის/კონტროლის პრაქტიკული

გამოყენება და კარგი ლაბორატორიული პრაქტიკის დანერგვა. (ჩატარებულ კვლევაზე მზადდება ოფიციალური ანგარიში);

2. **ლაბორატორიის პერსონალის ტრენინგის თემების პრიორიტეტული სია:** საჭიროებების შეფასების შედეგებზე დაყრდნობით და საქართველოს უნივერსიტეტების ტექნიკური შესაძლებლობის გათვალისწინებით შემუშავდა კონკრეტულ საკითხთა სია, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული პროექტის კონსორციუმის მიერ ლვოვში ჩასატარებელი (დაგეგმილია 2018 წლის დეკემბერში) ლაბორატორიის პერსონალის ტრენინგის განრიგის შედგენისას:

- რძესა და რძის ნაწარმში, ხორცსა და ხორცის ნაწარმში ანტიბიოტიკების საკონტროლო ტესტი - სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდი;
- ცხოველური წარმოშობის საკვებ პროდუქტებში ჰორმონების გაზომვა - სითხური ქრომატოგრაფიის მეთოდი;
- საკვებ პროდუქტებში პესტიციდების გაზომვა - სითხური და გაზის ქრომატოგრაფიის მეთოდი;
- საკვები დანამატების (საკვები საღებავების) გაზომვა - ქრომატოგრაფიის მეთოდი;
- საკვებში პათოლოგიური მიკროორგანიზმის ტესტი, PCR (რაოდენობრივი და თვისობრივი);
- პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის მეთოდი (პჯრ);
- ნიმუშების აღება სხვადასხვა პროდუქტიდან და PCR-თვის ნიმუშების მომზადება;
- ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი საკვების უვნებლობის კონტექსტში.



3. **დიპლომის შემდგომი კურსები:** შემოთავაზებული დიპლომის შემდგომი კურსების შინაარსი და დეტალები წარმოადგინეს კსუ-მ და თსუ-მ. განიხილეს მეთოდოლოგია, სამიზნე ჯგუფები და მათი სტრუქტურა. ამასთანავე, თითოეულმა უნივერსიტეტმა წარმოადგინა განხორციელების გეგმა და შიდა აკრედიტაციის პროცედურები. ასევე განიხილეს ტრენინგის პროცესში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ჩართულობის სქემის დეტალები.

- კსუ-მ შექმნა კურსი სახელწოდებით: ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი საკვების უვნებლობის კონტექსტში. კსუ-მ უკვე შეიმუშავა კურსის აღწერილობის სამუშაო ვერსია და გადაუგზავნა ევრო კავშირის პარტნიორებს კომენტარებისა და მოსაზრებებისათვის;
- თსუ-მ შემოგვთავაზა ორი ცალკეული კურსი სახელწოდებით:
 - საკვების შემოწმებისა და კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიებში ქრომატოგრაფიის მეთოდის გამოყენება;
 - საკვების შემოწმებისა და კლინიკური დიაგნოსტიკის ლაბორატორიებში PCR მეთოდების გამოყენება.

4. **სხვა საკითხები:** ვორქშოპის დროს განიხილეს პროექტის 2018 წლის ივლისი-დეკემბრის სამუშაო გეგმა; პარტნიორებმა წარმოადგინეს თითოეული საქმიანობის სტატუსი, მათ შორის ლაბორატორიული აღჭურვილობის შექმნა-შენახვა, სამაგისტრო კურსის გადამოწმების პროცესი და სხვა. მოინახულეს კსუ-ს საკლასო ოთახები, ლაბორატორიები და ბიბლიოთეკა. კსუ-ს თანამშრომელმა ჩაატარა ღვინის დეგუსტაციის მასტერ კლასი რათა ეჩვენებინა აგ-ლაბის პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი კურსების მთავარი ცნებები.



დასკვნები:

- ლაბორატორიის საჭიროების შეფასების კვლევის ანგარიში დასრულდება და შემდეგ დაეგზავნება პარტნიორებს.
- შეთანხმების თანახმად დიპლომის შემდგომი კურსის აღწერილობის სამუშაო ვერსია უნდა დასრულდეს 10 ოქტომბრისათვის და გადაგზავნილიყო ევრო კავშირის პარტნიორებისათვის კომენტარებისა და მოსაზრებებისათვის. შემდგომ, თითოეული უნივერსიტეტი განახორციელებს შესაბამის ცვლილებებს.
- დიპლომის შემდგომი კურსების საბოლოო დადასტურება უნდა მოხდეს პროექტის კონსორციუმის მიერ 2018 წლის 30 ოქტომბრისათვის. კურსები ჩაბარდება საბოლოო აკედიტაციისათვის 2018 წლის ნოემბრისათვის. სავარაუდოდ კურსები დაიწყება 2018 წლის დეკემბრიდან.
- პარტნიორები შეთანხმდნენ, რომ კვალიფიციური ლაბორატორიის პერსონალი უზრუნველყოფს დიპლომის შემდგომი და სამაგისტრო კურსების განხორციელებაში დახმარებას. შესაბამისი კურსების დეტალები განიხილება კონკრეტული ლაბორატორიული დავალების განსაზღვრის შემდგომ.
- პარტნიორები ფიქრობენ გააგრძლონ კონსულტაციები აგ-ლაბის პროექტის ფარგლებში და ხელი შეუწყონ პროექტის დავალებების წარმატებით განხორციელებაში.